პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 7 20 0001071597

05/11/2020

ა(ა)იპ განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის „ბიზნესის ადმინისტრირება და ფინანსური მენეჯმენტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს (ს/კ: 212907522) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება და ფინანსური მენეჯმენტი /00845.
2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 22 ოქტომბერი.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1070864 ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა